ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 29

“ 19 ” თებერვალი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქ. №47 და №49-ს შორის მდებარე 101 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.11.12.007.032) პირდაპირი განკარგვის წესით მოქ. აკაკი სექანიასთვის (პ/ნ №01011028753) იჯარით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 16 დეკემბრის №50.23.1434 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქ. №47 და №49-ს შორის მდებარე 101 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.11.12.007.032) პირდაპირი განკარგვის ფორმით მოქ. აკაკი სექანიასთვის (პ/ნ №01011028753) იჯარით გადაცემაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით გათვალისწინებული პირობებით.

2. ყოველწლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს - 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2024 წლის 7 ნოემბრამდე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი